ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1199221

ნომერი: AR1201921

თარიღი : 17.03.2014

გაცემის თარიღი : 01.04.2014

გაცნობის თარიღი : 02.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან, (ნაკვეთი N1/37) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/045) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ კაციტაძე პ/ნ 01024029229
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30ა ბ. 63

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.03.2011 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 05.03.2014 წ. #AR1201921 განცხადებით მომართა ნუგზარ კაციტაძემ და მოითხოვა სამსახურის 30.03.2011 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 30.03.2011 წ. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დიდუბე-ჩუღურეთის რ/ნ–ში, საოფისე შენობა-ნაგებობის აშენების მიზნით დადგენილ იქნა #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა სარეკრეაციო ზონა-2 (რზ–2), სადაც

„ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე დასაშვებია საოფისე შენობა-ნაგებობის ფუნქციის მქონე ობიექტების განთავსება. ამავე სამსახურის 10.09.2012 წ. #383930 და 28.12.2012 წ. #490227 ბრძანებებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 30.03.2011 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატებასთან დაკავშირებით, კერძოდ: საოფისე შენობა-ნაგებობასთან და მიწისქვეშა ავტოსადგომთან ერთად საზოგადოებრივი კვების ობიექტი –კაფეს დაფიქსირებას, რაც ასევე დასაშვებია სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 30.03.2011 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 30.03.2011 წ. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საოფისე შენობა-ნაგებობის ფუნქციის მქონე ობიექტს და მიწისქვეშა ავტოსადგომს დაემატოს საზოგადოებრივი კვების ობიექტი–კაფე;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.03.2011 წ. #391 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 10.09.2012 წ. #383930, 28.12.2012 წ. #490227 ბრძანებებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.